პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990
17 თებერვალი
შაბათი

№21 (6248)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

## გაიხსნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 თებერვალს კრემლში გაიხსნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესია. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა გახსნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა. მისი შესავალი სიტყვა მიეძღვნა ქვეყანაში მიმდინარე სიტუაციის შეფასებას, ფუძემდებელი საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში დეპუტატების წინაშე მდგომ ამოცანებს.

ერთ-ერთი დეპუტატის წინადადებით, სესიამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ამიერკავკასიაში მომხდარი მოვლენების დროს დაღუპულთა ხსოვნას.

სესიის მუშაობის წესის შესახებ წინადადება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სახელით შეიტანა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. ლუკიანოვმა. გათვალისწინებულია დღის წესრიგში შეიტანონ ორმოცდაათი საკითხი, რომელთაგან ოცდაათი პირველი რიგისაა. შემდეგ დაიწყო დისკუსია ამ წინადადების თაობაზე. იგი გაგრძელდა პალატების საღამოს გაერთიანებულ სხდომაზეც.

(საქინფორმი).

## სამომავლო მიჯნები გვისახავს

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ნახევარი დასრულდა, გამოკვეთილია სამომავლო მიჯნები და ამოცანები, სახელმწიფოს მიმდინარე სამეურნეო წელს 77 ტონა რძე, 4.8 ტონა ხორცი, 139 ტონა ყურძენი, 223 ტონა ხილი, 2,7 ტონა აბრეშუმის პარკი უნდა დავუმზადოთ. გასულ წელს მაინცდამაინც კარგი საფუძველი ვერ მოვამზადეთ ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის. იყო მიზეზები ობიექტურიც და სუბიექტურიც.

კოლმეურნეობა უკვე მეორე წელია ანაზღაურების იჯარული მეთოდით მუშაობს, გლეხი თანდათან მიუახლოვდა და დაეპატრონა მიწას, ჩვენზე, სამეურნეო ხელმძღვანელებზე ბევრი რამაა დამოკიდებული, დანაპირების შეუსრულებლობამ, საიჯარო ხელშეკრულების ჩვენი მხრივ დარღვევამ გლეხებს მიწისაგან აბრუნებინა პირი, არადა მას ქვეყნის მარჩენალი მიწა თუ არ უყვარს, ხვავითა და ბარაქით ვერც საკუთარ ოჯახს გამოკვებავს და ვერც სახელმწიფო ბეღელს შემატებს მიწის ბარაქას. ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, კოლმეურნეობასა და გლეხს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ უნდა დაირღვეს, რისთვისაც საჭიროა მომწოდებელმა ორგანიზაციებმა მეტი პასუხისმგებლობა იგრძნონ საწვავ-საცხები და სამშენებლო მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, მინერალური სასუქებით უზრუნველყოფის საქმეში. თუკი კოლმეურნეობას ეს თვითონვე არა აქვს, როგორ მივაწოდებთ ყოველივე ამას ჩვენს მშრომელებს? გლეხმა პირი უნდა იბრუნოს სოფლისაკენ, რასაც, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს მის მიერ მძიმე შრომით ნაწარმოებ პროდუქტებზე ფასების მომატება.

რაც შეეხება საგაზაფხულო სამუშაოების ნორმალურად წარმართვისათვის მზადებას, მოიჯარეები ამზადებენ ვაზის საყრდენ მასალას, გაზაფხულისათვის მომზადებული გვაქვს ტექნიკა, მოვიმარაგეთ თესლი. მაგრამ აქვე გულისტკივილით ისიც მინდა ვთქვა, რომ რა ხანია მოვითხოვთ ცხენისწყლისპირა ჭალის სასიმინდე ფართობებში წყლის საწრეტი არხების მოწყობას, რომლის შესახებ საკითხი არაერთხელ დაისვა სათანადო ორგანოების წინაშე, მაგრამ ამაოდ. საჭიროა ამ საქმეს ახლავე მივხედოთ, თორემ გვეკარგება მარცვლეულის მოსავლის დიდი რეზერვი, გაწვიმდება თუ არა, შიგ შესვლა არ შეიძლება. ცხენისწყალმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სულ მცირე 30 ჰექტარით შეამცირა აღნიშნული სასიმინდე ფართობი, ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები კი ჭიანურდება.

ახლა ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მეცხოველეობის ფერმის მშრომელებს ეკისრებათ. სულ მეცხოველეობის კომპლექსში 100 სული პირუტყვია, აქედან 60 ფურია, ზამთრის ამ დღეებში მაჩვენებლები ურიგოდ არ გამოიყურება, წლის პირველ თვეში სახელმწიფოს 30 ცენტნერი რძე და 15 ცენტნერი ხორცი მივყიდეთ.

მონდომებით შრომობენ მწველები გრიშა ჩაკვეტაძე, ჯიმშერ გოლეთიანი, სოზარ ცხვედიანი, ჯემალ ჭაბუკიანი. პირუტყვი უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის ადგილობრივი წარმოების საკვებით, თივით, ჩალით, სილოსით, ფურაჟით, კომბინირებული საკვებით. ამ დღეებში რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებიდან 10 ტონა შაქრის ჭარხლის ანარჩენი შემოვზიდეთ, რამაც ყოველდღიური წველადობა გაზარდა, გასულ წელთან შედარებით 15 კილოგრამითაა გაზრდილი, ნამატი გასულ წელზე 2 სულით მეტია მიღებული.

ასე, რომ ერთი მიზანი, საქმისადმი ერთობლივი მიდგომა, მომავლისადმი რწმენისა და იმედის განმტკიცებაა ახლა მთავარი. მხოლოდ და მხოლოდ აქტიური მოქმედება და არა ძალების მოდუნება დაგვაყენებს წარმატების გზაზე.

რ. მუშკუდიანი,

ლასურიაშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

## მეცხოველეობა - დამკვრელური ფრონტი



სიბეჯითით და შრომისმოყვარეობით ჯერ კიდევ სკოლაში, სწავლის წლებში გამოირჩეოდა ჩხუტელელი ელზა მეშველიანი და როცა სკოლის დამთავრების შემდეგ მან სამუშაოდ ყველაზე ძნელ უბანს, მეღორეობის ფერმას მიაშურა, გასაკვირი აქ არაფერი იყო.

ჭალის ტერიტორიაზე არსებულ მეღორეობის ფერმაში სულ 67 ღორი ჰყავთ, აქედან 12 დედა ღორია. ელზა 40 ღორს უვლის. ყველა სამუშაოს, მიუხედავად იმ სიძნელისა, რაც ყოველგვარ მექანიზაციას მოკლებულ ფერმაში შრომა-საქმიანობას ახლავს, ხალისით, დაუზარებლად აკეთებს და საქმეც წინ მიდის. ქალიშვილს მხარში უდგას უფროსი თანამოსაქმე ციალა მურცხვალაძე და ერთმანეთის თანადგომით, საერთო საზრუნავის გათავისებით საქმიანობენ ფერმაში.

სურათზე: ჩხუტელის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მწყემსი ელზა მეშველიანი.

ზ. გზობავას ფოტო.

## ოჯახი — ერის ბურჯი

### კვლავაც სითბო, სიყვარული...

ლასხანელი ნორა იოსების ასული სილაგაძე 22 წლის იყო ერთგულება რომ შეფიცა ჩქუმელ გრიგოლ გიორგის ძე თუთისანს, რომელიც დიდი სამამულო ომის ავბედითობამ რა გზებზე არ ატარა, მაგრამ მუდამ სითბო და სიკეთე სდევდა ყოველთვის ცხოვრების გზამკვლევად. მარტო ის რად ღირს, რომ სამშობლოში დაბრუნებულმა სამი ათეული წელიწადი მისი პატიოსანი მუშური მარჯვენა რაიონის საავტომობილო გზების კეთილმოწყობას მოახმარა.

სოფელ ჭალისთავში დამკვიდრებულმა რამდენი სიძნელე გადაიტანა, მეწყერი და მრავალჯერ დანგრევა-დასახლება, სიღარიბე, მაგრამ ყველა საზრუნავზე წინ ქალბატონმა ნორამ გამრავლება და შვილების აღზრდა დააყენა. დედობა ხომ ყოველთვის არის და იქნება ქალის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი და საპატიო საქმე, ქალის მაღალი მისია ხომ ქვეყნად— დედობაა.

და დაირწა 6 აკვანი თუთისანების ოჯახში. სწორედ შვილებით არის ამაყი დღეს, ხუთათეულ წელს გადაცილებული 4 ქალიშვილისა და 2 ვაჟის გამზრდელი დედა. ყველას შრომა შეაყვარა, ყველა პატიოსანი ადამიანის მადლს აზიარა.

ექვსივე შვილმა ოთხებზე და ხუთებზე დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. შრომასთან ერთად ყველამ საჭირო პროფესია შეიძინა. უფროსმა ქალიშვილმა ლიზამ სავაჭრო ტექნიკუმი დაამთავრა, ოყურეშელთა რძალი გახდა და 4 შვილს უზრდის ქვეყანას. ვალოდია ინჟინერია, ქუთაისში დამკვიდრდა და სამი შვილის მამაა. მანანამ და მზიამ კავშირგაბმულობის რადიომექანიკური ტექნიკუმი დაამთავრეს, გათხოვდნენ და ჯერჯერობით ორ-ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავთ. თამარი საბუღალტრო საქმეს აზიარა და ორბელელთა რძალი გახდა. ნაბოლარა ამირანი ცაგერის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და ვოლგოგრადში იხდის მხედრულ ვალს. მშობელ დედას ოჯახის ყველაზე საპატიო ადგილი ჯარისკაცი შვილის სურათისათვის მიუჩენია.

—გაგიჭირდათ ექვსი შვილის აღზრდა? ხშირად ეკითხებიან მრავალშვილიან დედას.

—სად მეცალა გასაჭირებლად. მეუღლე იყო ჩემს გვერდით და ვშრომობდით პატიოსნად, ბეჯითად და ყოველთვის ჩემს გვერდით იყვნენ შვილები, უფროსები უმცროსების აღზრდაში მეხმარებოდნენ, ერთმანეთს ზრდიდნენ—არის პასუხი.

დაე, მრავალი შვილის მშობლების, ნორა და გრიგოლ თუთისანების მონაგარს ერთგულებით, ვაჟკაცობით, თავდადებით ესახელებინოთ საყვარელი საქართველო.

გ. ბაქრაძე.

## ცაგერის № 201 საოლქო საარჩევნო კომისიაში

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის №201 საოლქო საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა:

სადინაძე ჯემალ დავითის ძე — დაბადებული 1940 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე (ცაგერის №91 პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან).

### გასწორება

ჩვენი გაზეთის 15 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №201 საოლქო საარჩევნო კომისიაში" ტექნიკური მიზეზით დაშვებულია უზუსტობა.

დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებული ვენედი გიორგის ძე ბენიძე დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია ზუბის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

# საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

## ჩამორჩენის დაძლევის ნიშნით

ლაჯანის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებას, რომელიც 13 თებერვალს გაიმართა, უამრავი ხალხი ესწრებოდა. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ო. ლაკვეხელიანმა, კამათის მონაწილეებმა ვლადიმერ ხვადაგიანმა, გრიშა და კუკური ლეშკაშელებმა, ლალიკო გოლეთიანმა, ჯუმბერ გორგასლიძემ, გერასიმე სილაგაძემ, ჯიმშერ გუგავამ, აჭთანდილ თვარაძემ და სხვებმა ილაპარაკეს 1989 წელს გაწეული მუშაობის ავ-კარგზე, არსებულ ნაკლოვანებებზე, ჩამორჩენის მიზეზებზე, მათი დაძლევის გზებზე, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის მზადების საკითხებზე და სხვა.

მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში გლეხურ მეურნეობებზე გადასვლის გზებსა და პერსპექტივებზე კრების მონაწილეებს ვრცლად ესაუბრა ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ო. შ. ნემსწვერიძე.

კრებაზე აღინიშნა, რომ ლაჯანის კოლმეურნეობა ადრე არსებული 8 კოლმეურნეობის ბაზაზეა შექმნილი. კოლმეურნეობათა დამსხვილებამ სიკეთე არ მოიტანა. თანდათან მოიშალა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, მის კვალობაზე შემცირდა მოსავლიანობა, გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება. ანაზღაურების სხვადასხვა ფორმების შემოღებამ, ექსპერიმენტებმა საქმეს ვერ უშველა და კოლმეურნეობა ძირითადში ვეღარ ამართლებს.

ითქვა, რომ მეურნეობრიობის ახალ ფორმაზე — იჯარაზე გადასვლამ კარგი შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობამ გასული სამეურნეო წელი დიფერენცირებული ფასის ჩათვლით 70 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა.

კოლმეურნეობას მიმდინარე ანგარიშზე აქვს 424 ათასი მანეთი, რომლითაც შეუძლია დაფაროს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები, აგრეთვე მოახმაროს იგი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებას.

1988 წელთან შედარებით 1989 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს 23 ცენტნერით მეტი ხორცი, 15,2 ცენტნერით მეტი რძე, 4,5 ცენტნერით მეტი აბრეშუმის პარკი. მევენახეობიდან, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაბალი მოსავალი მიიღეს, მოგებამ შეადგინა 18 ათასი მანეთი. მეცხოველეობაში იჯარის დანერგვამ მკვეთრად შეამცირა ამ დარგის ზარალიანობა.

კრებაზე დასახელდნენ მოიჯარეები გ. ლეშკაშელი, რ. ნემსწვერიძე, კ. მახარობლიძე და სხვები, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებები, მიიღეს ყურძნისა და სიმინდის უხვი მოსავალი.

ითქვა, ყველას რომ ისე ემუშავა, როგორც მოწინავე მოიჯარეებმა, მაშინ ყურძნის მოსავლიანობა, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, მათ შორის სეტყვისა, ასე სამარცხვინო არ იქნებოდა. ნაცვლად გეგმური 340 ტონისა წარმოებული იქნა მხოლოდ 72 ტონა ყურძენი. გულისტკივილით ითქვა, რომ თუ არ გაძლიერდა ვენახების მოვლა-პატრონობა, მეურნეობის შემოსავლის ეს ძირითადი დარგი მთლიანად განადგურდება და სწორედ გამგეობის, აგროსპეციალისტების ყურადღება მიაპყრეს ამ დარგისადმი მზრუნველობის აუცილებლობას.

არ შესრულდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, ნაცვლად გეგმური 500 სულისა ყავთ 453 სული. მართალია ძროხების სულადობა შესრულებულია, მაგრამ ვერ შეასრულეს ერთი ფურიდან წველადობის დავალება. ასევე არ შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის გეგმები.

აღინიშნა, რომ კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საჭირო ღონისძიებებს არ ატარებენ შრომის ორგანიზაციის სიახლეების დანერგვისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კარგ შედეგს იძლევა ოჯახური იჯარა, იგი საჭირო პატივისცემით ვერ სარგებლობს. ითქვა, რომ ძირითადად დაკმაყოფილდნენ მიწებისა და ვენახების მოიჯარეებზე მიმაგრებით. საჭირო ღონისძიებები არ გატარებულა ვენახებისა და სიმინდის ნათესების დაცვისათვის. ბევრმა მოიჯარემ კარგად არ მოუარა მიმაგრებული ვენახისა და სასიმინდე ფართობებს, რის შედეგადაც ყურძნისა და სიმინდის ძალზე ცუდი მოსავალი მიიღეს.

კრებაზე გამოსულმა კამათის მონაწილეებმა შეულამაზებლად, მთელი პირდაპირობით, გაბედულად გაუკეთეს ანალიზი კოლმეურნეობის დაქვეითების მიზეზებს, სამეურნეო და სოციალურ საკითხებში არსებულ პრობლემებს. მოურიდებლად უთხრეს ხელმძღვანელებს იმ ხარვეზებზე, რომელთა მიზეზით გაძლიერდა მიგრაცია და საჭირო ყურადღება არ ექცევა სოციალური საკითხების მოგვარებას. უსახელოს მცხოვრებლებს უჭირთ უგზოობის გამო. სპათაგორის მცხოვრებლები იმის გამო, რომ ორი წელია არ დამთავრდა ქვესადგურის დამონტაჟება-ჩართვა, ხშირად ელექტროენერგიის გარეშე არიან დარჩენილი, ჭიანურდება სატელეფონო ხაზების აღდგენა. არ დაწყებულა მდინარე ლაჯანურის სანაპიროს კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. აუცილებლობას მოითხოვს ლაჯანაში აშენდეს საბავშვო ბაღის შენობა. თუ დროულად არ მიექცევა ყურადღება, მალე მწყობრიდან გამოვა ჭილეშისა და უსახელოს ხიდები. მოითხოვეს აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში ზემდგომი ორგანოების დახმარება.

ხანდაზმულმა, გამოცდილმა კოლმეურნე [illegible] ძემ [illegible] ნად გაეცნო საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებას მთიანი რაიონების ეკონომიკურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გლეხური მეურნეობების უპირატესი განვითარების შესახებ, რომ მთავრობამ ამ საკითხის გადაწყვეტა კოლმეურნეებს, გლეხებს მიანდო. ჩვენში ამ ეტაპზე კოლმეურნეობა ასეთ პირობებში ვერ ამართლებს, ვფიქრობ, გლეხური მეურნეობა უკეთესი იქნება, მაგრამ ამისათვის დღესდღეობით არ ვართ მზად. გლეხს უნდა ჰყავდეს ხარები, ცხენი და სხვა საშუალებები. ამიტომ საჭიროა წინასწარ შევქმნათ პირობები გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის.

ცაგერის რაიონში და მათ შორის ლაჯანის რეგიონში კოლმეურნეობის ფუნქციონირების გაგრძელების შეუძლებლობის, მისი გაუქმების აუცილებლობასა და გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის საკითხებზე კრების მონაწილეებს ესაუბრნენ ლეჩხუმის სახალხო ფრონტის წარმომადგენლები ია ხმელიძე და მიტროფანე სტურუა.

კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის მიერ 1989 წელს გაწეული მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად, დაამტკიცა წლიური ანგარიში, სარევიზიო კომისიის აქტი და მიიღო მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებები.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ი. სვანიძე

ვლ. დავითულიანი.

## სრული დემოკრატიით

ჯერ კიდევ გასულ წელს რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა უკმაყოფილება გამოთქვა რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის ც. ახვლედიანის მიმართ. მათ პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს გაუგზავნეს მოთხოვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მთავარი ექიმი თანამშრომლების მიმართ იჩენს არაკოლეგიალურ დამოკიდებულებას, რაიონულ საავადმყოფოში არ არის წესრიგი და დისციპლინა. მოითხოვეს მთავარი ექიმის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან.

გასული წლის ნოემბერში თავისი განცხადების საფუძველზე ც. ახვლედიანი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მთავარი ექიმის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალა ექიმ მ. თოთაძეს.

არჩეულ იქნა შრომითი კოლექტივის საბჭო, რომელმაც გამოაცხადა კონკურსი რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობის დასაკავებლად.

ვინ უნდა იყოს მთავარი ექიმი? პასუხი ამ კითხვაზე გასცა რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კრებამ, რომელმაც 13 თებერვალს ფარული კენჭისყრით აირჩია რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კრება, რომელიც სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა, გახსნა შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ლარცულიანმა. მანვე აღნიშნა, რომ გამოცხადებული კონკურსის შედეგად ამ თანამდებობის მსურველი არის 4 კანდიდატი: მურმან ნიკოლოზის ძე თოთაძე, რეზო დავითის ძე ჩხეიძე, მამუკა ვილიამის ძე გოლეთიანი და ნაილი სარდიონის ასული ფუტკარაძე. კრების მონაწილეებს გაეცნო ოთხივე კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია.

შემდეგ ოთხივე კანდიდატს მიეცა შესაძლებლობა შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთათვის გაეცნოთ მათი მომავალი მოქმედების პროგრამა.

კრებამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია ფარული კენჭისყრისათვის.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობაზე არჩეული იქნა **მურმან ნიკოლოზის ძე თოთაძე.**

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად

საქართველოს პროფკავშირებმა თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამა წამოაყენეს. მასში კონკრეტულად აისახა წინასაარჩევნო პერიოდში მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მასში აღნიშნულია, რომ პროფკავშირები ილწვიან რესპუბლიკის ახალ პარლამენტში იმ დეპუტატების არჩევისათვის, რომლებიც უზენაეს საბჭოში დაიცავენ მშრომელთა კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს. აღნიშნული მიზანი მიღწეული იქნება პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ წამოყენებული დეპუტატობის იმ კანდიდატებისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერით, რომელთა პროგრამაც სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, შემოქმედებითი უნარის განვითარებას, შრომის სფეროში მეურნეობის ახალი მეთოდების დანერგვას, საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებასა და სხვა სასიცოცხლო პროგრამების მოგვარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს პროფკავშირები წინასაარჩევნო პერიოდში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სამართლიანი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას ფასების წარმოქმნის სფეროში „სამომხმარებლო კალათაში“ შემავალი პირველადი მოთხოვნილების საქონელზე სოციალურად მისაღები ფასების უზრუნველყოფას. გაუმართლებლად მიაჩნიათ საწარმოების მიერ გამოშვებულ სახალხო მოხმარების პროდუქციაზე ფასების თვითნებურად მომატების ფაქტები.

პროფკავშირები მხარს უჭერენ რა კოოპერატიულ მოძრაობას ძირითადში, გადაჭრით გამოდიან ზოგიერთი გადახრების წინააღმდეგ, რომლებიც ფაქტობრივად ხელს უწყობენ არაშრომით შემოსავლებს და უარყოფით გავლენას ახდენენ მშრომელთა გაწყობილებასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ საბინაო ფონდის განაწილებისას სოციალური სამართლიანობის პრინციპების მტკიცე დაცვაზე, ნაკლებად უზრუნველყოფილი, მრავალშვილიანი და ახლადდაქორწინებული ოჯახების პრობლემების გადაწყვეტაზე, იმ მოქალაქეების ყოველმხრივ წახალისებაზე, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს პირადი შრომა და სახსრები დააბანდონ ბინათმშენებლობის დაჩქარებაში.

მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნიათ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შემდგომი უზრუნველყოფა, ქალებისათვის საოჯახო და სამსახურებრივი რთული ფუნქციების შესრულებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მხარდაჭერის გაძლიერება, პენსიონერებისა და ინვალიდების მდგომარეობის თვისებრივი გაუმჯობესება, მათი შრომითს პროცესში ჩაბმის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება, იმ საწარმოების დახურვის ან პროფილის შეცვლის მიღწევა, რომლებიც ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას და ქმნიან ეკოლოგიურ საფრთხეს.

საქართველოს პროფკავშირები მოუწოდებენ რესპუბლიკის მშრომელებს, მხარი დაუჭირონ პროფკავშირების წინასაარჩევნო პლატფორმას და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებად ასარჩევად ხმა მისცენ იმ კანდიდატებს, რომლებიც ზემოაღნიშნულ ჰუმანურ და ერისშვილურ პოზიციებზე დგანან.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეორიულ - პრაქტიკული კონფერენციის შესახვედრად

### მიგრაცია ურჩხულია

ის საქართველო, პირველი საუკუნის დამდეგს რომ „ღვთისმშობელს წილად ხვდა" და მე-12 საუკუნის დამდეგს კავსასიის „იმპერიად" გადაიქცა, აგერ მე-20 საუკუნის დამდეგს მეოთხედილა ძლივს შემორჩა, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ამ „გამეოთხედებულ" საქართველოშიც კი გაჭირდა საქართველოს „გადარჩენა, ქართული მიწის გადარჩენა.

ორმოცდაათიანი წლებიდან რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მთის რაიონებში მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, როცა მთის მოსახლეობის მიგრაციას არა თუ წინ აღუდგნენ, არამედ თავად შეუწყვეს ხელი, რამაც გამოიწვია მთის თავისებური მრავალფეროვანი მეურნეობის მოშლა, განადგურება, სოფლების გაუკაცრიელება და სკოლების დახურვა.

ახლა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება მიტოვებული სოფლების აღსადგენად, მაგრამ მთის სოფლების საგრძნობი ნაწილი კვლავ ცარიელდება. ჩანს მთის სოფლების შესანარჩუნებლად უფრო რადიკალური ღონისძიებებია მოსაფიქრებელი და გასატარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოტა ხანში ბევრი სოფელი კვლავ ნასოფლარი გახდება.

ყველა კარგად ვხედავთ თუ რა შედეგი მოიტანა კოლმეურნეობების გამსხვილებამ, გაუარესდა მდგომარეობა, გლეხობა ეკონომიკურ დეგრადაციამდე მიიყვანა, უფრო მეტიც, ამან ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია, მიწამ პატრონი დაკარგა. „ჩვენი გამომკვებელი, ჩვენი მარჩენალი სულიერი" ვეღარ გამოვიდა სიღარიბიდან, ეკონომიკური გასაჭირიდან. გამოსავალი სოფლიდან ქალაქში გაქცევით გამოინახა, არადა სოფლიდან გლეხობის აყრა და ქალაქ-ქალაქ ხეტიალი დიდ სახელმწიფო უბედურებად და ერის განადგურებად მიმაჩნია.

ბუნებრივია, რომ ადამიანს ვერ შემოუსაზღვრავ ხელოვნურად საცხოვრისს — უნდა მთაში იცხოვრებს, უნდა ბარში, მაგრამ ასევე ბუნებრივი იქნებოდა ისეთი პირობები შეგვექმნა, რომ არა მარტო მთიელმა მოისურვოს ბარად ჩასახლება, არამედ ბარელმაც მოიწადინოს მთის სოფელში ცხოვრება, მაშინ დემოგრაფიული წონასწორობა აღარ დაირღვეოდა.

მიმაჩნია, რომ საქართველოს მთაში კერძო მემკვიდრეობითი საკუთრება მიწაზე უპირატესი უნდა იყოს, ვფიქრობ მიწის მუშა გლეხი დაინტერესდება არა მარტო იმით, თუ რამდენი მოსავალი მოიყვანოს დღეს, არამედ იმითაც, რომ უფრო გააკეთილშობილოს მიწა, რათა იგი მის შვილსაც და შვილიშვილსაც ემსახუროს. დღეს გლეხს ლოზუნგებით ლაპარაკი კი არა, რეალური დახმარება სჭირდება ფეხზე დგომაში. გლეხის ოჯახის გასაჭირს დეტალურად შესწავლა სჭირდება, რამეთუ გლეხის სატკივარის მოშუშება ჩვენი ერის გაჯანსაღება-გაძლიერება იქნება.

დღეს ბევრი რამ აკლია გლეხს მომსახურებისა თუ სხვა სფეროში. მინდორში გასულ მშრომელს არ უნდა აწუხებდეს დაზიანებული ტელევიზორის, მაცივრის, სარეცხი თუ საკერავი მანქანების ბედი. საკითხავია რატომ არ უნდა იყოს დანერგილი გასვლითი მომსახურების მოსახერხებელი ფორმა? რატომ უნდა იყოს ქუჩაში თვეობით დაგროვილი გაზის ცარიელი ბალონები? რატომ უნდა სჭირდებოდეს მთელი კვირით პურისათვის ლოდინი სოფლის სკოლის მოსწავლეს? უჭირს ჩვენს სოფლებს, ძალიან უჭირს სიმართლის პოვნაც. აღარ არის საჭირო ექსპერიმენტები. სოფელს არ აინტერებს მიზეზი. სოფელს, გლეხკაცს, სურსათის მწარმოებელს ესაჭიროება ისეთი სკოლა, რომელიც იძლევა კარგ ცოდნას, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, სამედიცინო, სავაჭრო მომსახურების ობიექტები, სჭირდება სიცოცხლის არტერია — გზა და ტრანსპორტი. დიახ, სიძნელეები ძალიან ბევრი გვაქვს, მაგრამ მომავალს, მაინც იმედის თვალით ვუყურებთ. სიმართლე გაიმარჯვებს, ილიას თქმისა არ იყოს: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს!

საქმეს დღესვე უნდა მივხედოთ, სოფლის პრობლემები სასწრაფო ჩარევას მოითხოვს, თორემ მიგრაცია ის ურჩხულია, ჩვენს კეთილდღეობას, ერის მომავალს რომ ემუქრება.

ეთერ ყურაშვილი,
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.
სოფელი ალვი.

## განვიხილავთ საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციას

### შრომითი აღზრდა დროის მოთხოვნაა

შრომისადმი სიყვარულს, პატივისცემას საფუძველი ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებებში ეყრება და ძირითადად სკოლაში ყალიბდება. ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექცია, მთელი პედაგოგიური კოლექტივი სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მოსწავლეთა შრომით აღზრდას და შეიძლება ითქვას, სასურველ შედეგსაც ვაღწევთ.

მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის გარდაქმნის ქვაკუთხედად მივიჩნიეთ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისათვის მომზადების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ".

ჩხუტელის საშუალო სკოლაში შრომითი სწავლებისა და აღზრდის კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, რაც უზრუნველყო ლითონზე, ხეზე, ხელგარჯილობასა და სასოფლო სამეურნეო შრომითი სწავლებისათვის საჭირო პირობების შექმნამ. სასწავლო საცდელი ნაკვეთის სანიმუშოდ მოწყობამ და გონივრულად გამოყენებამ, სკოლა-მეურნეობისა და შრომა-დასვენების ბანაკში მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორმა ორგანიზაციამ, მოწინავე კოლმეურნეების გამოცდილების შესწავლა-დანერგვამ და სხვა.

კარგად გვაქვს მოწყობილი შრომითი სწავლების სახელოსნო და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტი. შრომის მასწავლებლის და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის გამგის დ. მეშველიანის, ტექნიკური შრომის მასწავლებლის ს. ხვადაგიანის და ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელის ნ. კაპანაძის მონდომებული მუშაობით სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან ჩარხებზე მუშაობას, ჭრა-კერვას, ქსოვასა და ქარგვას, სიმინდის, ყურძნისა და ბოსტნეულის მოვლა-პატრონობას. მოწყობილი გვაქვს ავტომანქანის შემსწავლელი კაბინეტი, დამონტაჟებული გვაქვს ტრენაჟერი და მეცხრე-მეათე კლასის მოსწავლეები ეუფლებიან ავტომობილის მართვას. მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სკოლის ეზოს, სასკოლო დგამ-ავეჯის მიმდინარე რემონტის შესრულებაში.

სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი მოსწავლეებში შრომისადმი სიყვარულის გამომუშავების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ამ ნაკვეთზე გაშენებულ მსხმოიარე ვენახსა და ხეხილის ბაღში, სასიმინდე ნაკვეთსა და ბოსტანში ყველა სამუშაოს ხარისხიანად და აგროწესების დაცვით ასრულებენ მოსწავლეები. ისინი ეუფლებიან ვენახისა და ბაღის გასხვლის, ნიადაგის დამუშავების, მწვანე ოპერაციების, სასუქების გამოყენების, შხამ-ქიმიკატებით შეწამვლის აგროტექნიკურ წესებს, ვაზისა და ხილის მყნობას, სიმინდისა და ბოსტნეულის მაღალი მოსავლის მოყვანის მეთოდებს. ნაკვეთში გაშენებული თუთის ფოთლით ყოველწლიურად კვებავენ აბრეშუმის ჭიას. ნაკვეთის ტერიტორიაზე მოწყობილი გვაქვს მარტივი ტიპის სათბური. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთიდან შემოსავალმა შეადგინა 2700 მანეთი, რომელსაც ვიყენებთ სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ მოსწავლეთა დახმარებისათვის.

საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ შრომის ჩვევების გამომუშავება აუცილებელია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ყმაწვილის მოსამზადებლად. სწავლა გარკვეულწილად შრომაცაა. საკუთრივ შრომითი სწავლების პროცესმა უნდა შეუწყოს ხელი მოზარდის ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადებას. გოგონებმა, აღნიშნულია კონცეფციის პროექტში — უნდა ისწავლონ საოჯახო მეურნეობა — კულინარია, კერვა, ქსოვა, ბავშვის მოვლა, ვაჟებმა — მეურნეობა, საოჯახო ნივთების შეკეთება და სხვა. არ უნდა შეიზღუდოს მოსწავლის ინდივიდუალური მისწრაფებები. თუ კი ყმაწვილი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა (ხელობა, რეწვა, [illegible] ხელოვნება, მეცნიერება, ეკოლოგია და სხვა), ეს უნდა ჩაითვალოს შრომით აღზრდად. ამგვარი ინდივიდუალური ორიენტაცია მას მესამე საფეხურზე სწორ არჩევანს გაუადვილებს.

თანამედროვე პირობებში დიდი როლი ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობაში შრომისმოყვარეობის აღზრდას. დღეს პედაგოგი, ძაცადი თუ ახალი მეთოდებისა და ხერხების ეფექტური გამოყენებით უნდა ცდილობდეს მოსწავლეებს დაწყებითი კლასებიდანვე ჩაუნერგოს შრომისმოყვარეობის გრძნობა, კოლექტიური შრომის სიყვარული. ჩვენმა პედაგოგებმა იციან, რომ შრომისმოყვარეობის აღზრდა უწყვეტი პროცესია და გარემოს ზეგავლენით, გაკვეთილების შემდგომ, სკოლის გარეთ გრძელდება ეს პროცესი. ყოველივე ეს აყენებს თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საკითხს. ამ პროცესში მონაწილეობს ჩვენი მასწავლებლები, მაგრამ ვერ დავფარავთ და სწორედ აქ გვაქვს სუსტი ადგილები, ზოგიერთი მასწავლებელი იფარგლება გაკვეთილით და მის შემდეგ რას აკეთებს მისი მოსწავლე, როგორ მეცადინეობს, ეხმარება თუ არა მშობლებს საოჯახო საქმეების შესრულებაში და სხვა არ ინტერესდება და ამის შედეგია, რომ ზოგიერთი ბავშვი უსაქმოდ დაეხეტება ქუჩებში, რასაც ბოლოს არასასურველი შედეგები მოჰყვება.

პედაგოგების მიერ შინაარსიანად დაგეგმილ მუშაობაზეა დამოკიდებული თუ რას გააკეთებს მოსწავლე საკუთარი თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ. აღმზრდელობითი მუშაობის დროს, ყველა საგნის მასწავლებლის მიერ, საჭიროა მოზარდთა დაინტერესება ისეთი შრომითი საქმიანობით, რომელიც მათ სტიმულს მისცემს ძიებაში, კვლევასა და შემოქმედებით საქმიანობის წყურვილის გაღვიძებაში.

მოზარდ თაობაში შრომისმოყვარეობის აღზრდა, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მათი მონაწილეობა დადებითი თვისებების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა და ჩვენი სკოლის პედაგოგები, სკოლის დირექცია ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აღვზარდოთ შეგნებული, აქტიური, განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდობა.

ზ. მიქაძე,
ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექტორი.

## მაღაზია... ჩაქუჩის მეშვეობით

შესაძლებელია თუ არა ჩვენთან მაღაზიის მფლობელი გახდე? რასაკვირველია. ამის შესაძლებლობა დედაქალაქის თითოეულ მოზრდილ მცხოვრებს მიანიჭა აუქციონმა, რომელიც ტერიტორიულ საწარმოო-სავაჭრო გაერთიანება „მოსქალაქვაჭრობაში" გაიმართა. ორმოცდაათზე მეტმა საფუნთუშე, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიამ შეიძინა აქ ახალი პატრონი.

სხვათაშორის, მართალია სხდომის დარბაზში ჟღერდა ჩაქუჩის ხმა, გაისმოდა ტრადიციული ფრაზა „გაყიდულია", მკაცრად, რომ განსაჯოთ, საქმე ეხებოდა არა სავაჭრო საწარმოების გაყიდვას, არამედ მათ გაცემას საოჯახო და სანარდო იჯარით. და ამიტომ ყველაზე კარგი „ფასი" იყო არა უმაღლესი ფასი, არამედ შრომის ორგანიზაციის კონსტრუქციული წინადადება.

აუქციონზე წარმოდგენილი იყო მაღაზიები არა იმდენად დაბალრენტაბელური ეკონომიკით, რამდენადაც არადამაკმაყოფილებელი ვაჭრობის ორგანიზაციით, რომელთა მუშაობითაც კმაყოფილი არ იყო მოსახლეობა და უჩიოდა. ეს ერთ-ერთი ხერხია იმისა, რომ შეიქმნას სახელმწიფო მაღაზიების ჯანსაღი კონკურენცია. სხვათა შორის, თვით იმის შესაძლებლობაც კი, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს „გაყიდული" აღმოჩნდე, რამდენადმე პასუხისმგებლობის გრძნობას მატებს დაუდევარ მუშაკებს. რაიონის ვაჭრობის სამმართველოს ხელმძღვანელებს ხომ ამიერიდან შეუძლიათ იჯარით გასცენ ყოველი ცუდად მომუშავე საწარმო.

ამჟამინდელი აუქციონი უკვე მეხუთეა. სულ წლინახევრის წინათ გაიმართა პირველი ვაჭრობა, დედაქალაქში კი უკვე 150 მაღაზიაზე მეტი მუშაობს საოჯახო და სანარდო იჯარით. თითქოს ეს არც ისე ბევრია ასეთი დიდი ქალაქისათვის. მყიდველებმა ამ სიახლეს დადებითი შეფასება მისცეს. უხუცესი მოსკოველები, რომლებიც ძველი ჩვეულებისამებრ მაღაზიებს ისევ ელისეევისა და ფილიპოვის სახელებს უწოდებენ, ახლა ხალისით ყიდულობენ ახალ პურს სმირნოვის საფუნთუშეებში, ვინაიდან მოიჯარეები ხშირად მუშაობენ ჩვეული სასადილო შესვენების გარეშე, ახანგრძლივებენ ვაჭრობის საათებს, და უბრალოდ ელემენტარულად თავაზიანი არიან.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოიჯარეთა მაჩვენებლები მაღალია: 2-3 ჯერ იზრდება საქონელბრუნვა, შესაბამისად იზრდება აგრეთვე ხელფასიც. დღეისათვის მხოლოდ ოთხმა მაღაზიამ თქვა უარი იჯარაზე, იმათ, ვინც ესწრაფვოდა იოლ და სწრაფ გამდიდრებას, ვინც უბრალოდ ვერ გაუძლო მძიმე შრომას. არის ობიექტური სიძნელეებიც. საქონლით მომარაგების შეფერხება,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

### სასამართლოს დარბაზიდან

## ავტომანქანის გამტაცებელი

ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა წყალტუბოს ზონის სოფელ მექვენის მკვიდრის ელდარ არჩილის ძე ქობულაძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

ე. ა. ქობულაძემ 1989 წლის 16 ივლისს ქ. ცაგერში ლენინის ქუჩის 45 ნომერ საცხოვრებელი სახლის ეზოდან გაიტაცა ამავე სახლში მცხოვრებ ვ. ზ. ჭაბუკიანის კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-2107“. წინასწარი გამოძიებით გამოვლინდა, რომ ავტომანქანის გამტაცებელი იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში, ავტომანქანა გატაცებული იქნა დროებითი გამოყენების მიზნით.

დანაშაულის ჩადენამდე ერთი დღით ადრე, 15 ივლისს, ე. ა. ქობულაძე თავის მეგობართან ნ. იობიძესთან და მის საცოლესთან ერთად ესტუმრა სოფელ წიფერჩში ნ. იობიძის ახლობლებს. სოფელ წიფერჩშიც და სოფელ ჩხუტელშიც, სადაც ელდარი თავის მეგობრებთან ჰ. ხელაიასთან, გ. მანაგაძესთან და ს. იობიძესთან ერთად იმყოფებოდა, მასპინძლები გაშლილი სუფრითა, სასმელით გაუმასპინძლდნენ.

16 ივლისს, ღამით ელდარმა მოულოდნელად მოინდომა საკუთარ ოჯახში დაბრუნება, მეგობრების გარეშე დარჩენილმა (ისინი უკვე ქუთაისში გამგზავრებული იყვნენ), ნასვამმა ცაგერის ქუჩებში განაგრძო უმიზნოდ სიარული, წყალტუბოში გამგზავრების სურვილიც არ სცხლდებოდა, და რადგანაც საკუთარი ავტომანქანა სოფელ წიფერჩში, მასპინძელთა ოჯახში დატოვა, თავისი სურვილის ასრულების მიზნით გაიტაცა ვ. ზ. ჭაბუკიანის კუთვნილი ავტომანქანა და გაემართა წყალტუბოსაკენ, წყალტუბოში ჩასვლისას მანქანა ჯერ გაძარცვა და შემდეგ რუსთავის ქუჩის ჩიხში მიატოვა.

ავტომანქანა „ვაზ-2107“ ნაპოვნი იქნა მილიციის მუშაკების და მანქანის მფლობელის მიერ ქ. წყალტუბოში. ავტომანქანა გაძარცული იყო, ნაძარცვის რაოდენობა შეადგენდა 649 მანეთსა და 13 კაპიკს.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მანქანა გატაცებულია გაძარცვის მიზნით, რასაც ადასტურებს ის, რომ მოპარული ნივთების ნაწილი გამტაცებელმა გაყიდა, ნაწილი კი აღმოჩნდა თვით მის კუთვნილ ავტომანქანაში.

ე. ქობულაძის მიერ ნებაყოფლობით იქნა ანაზღაურებული დაზარალებულზე მიყენებული ზარალი, მაგრამ მის მიერ ჩადენილი დანაშაული კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ალკოჰოლის ზედმეტად მიღებას, უმიზნო ხეტიალს რა სავალალო შედეგამდე მივყევართ. ოციოდე წლის ახალგაზრდა დამნაშავედ იქცა. მხოლოდ საკუთარ სურვილებზე ფიქრმა და უთავბოლო მიზნების განხორციელებამ განსასჯელის სკამამდე მიიყვანა.

კანონს ერთი მიზანი აქვს, გაგრძნობინოს შეცდომა, რომლის გამეორებასაც, ნორმალურ შემთხვევაში, არ ისურვებ. სასამართლომ გაითვალისწინა ე. ქობულაძის წარსული, რომ მას არ ჩაუდენია სხვა სახის დანაშაული, პირველად იქნა გასამართლებული და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, აღნიშნული სასჯელი, კანონის შესაბამისად, შეეცვალა პირობით-მსჯავრდადებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით, განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

ყოველი ახალგაზრდა მშობლიური კუთხის, ქვეყნის მსახურის როლის აღმსრულებით უნდა ევლინებოდეს დედამიწას, მათი ცხოვრების გზას ზნეობის, სიკეთის სამსახურამდე უნდა მივუყვეთ და რაოდენ სამწუხარო და მტკივნეულად ასატანია მათი ხილვა მანქანის გამტაცებელთა როლში.

**მ. სტურუა,**
ცაგერის რაიონის სახალხო მოსამართლე.

## გ. ზ. ხვადაგიანი

გარდაიცვალა დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1940 წლიდან გედეონ ზაქარიას ძე ხვადაგიანი.

გ. ზ. ხვადაგიანი დაიბადა 1917 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ზოგიშში. ზოგიშის 4 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისში და 1940 წელს დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლა.

1940 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად, სადაც მოუსწრო დიდმა სამამულო ომმა, იბრძოდა ბელორუსიაში, სადაც მძიმედ დაიჭრა და 1942 წელს დემობილიზებული იქნა არმიიდან.

1942-1944 წლებში მუშაობდა ცაგერის რაიონის თავდაცვაავიაქიმიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ, შემდეგ სხვადასხვა წლებში იყო პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი, რაიკოოპკავშირის ვაჭრობის განყოფილების გამგე, ალპანის სოფლის კოოპერაციის, ალპანის სასოფლო საბჭოს, ზოგიშისა და ალპანის კოლმეურნეობების გამგეობის თავმჯდომარე, რამდენიმეჯერ იყო არჩეული სასოფლო და რაიონული საბჭოს დეპუტატად, პარტიის რაიონული კომიტეტის წევრად.

დაჯილდოებული იყო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, რამდენიმე საბრძოლო მედლით, მიღებული ჰქონდა სიგელები და დიპლომები.

სადაც კი უმუშავნია, ყველგან გამოირჩეოდა პრინციპულობით, მაღალი მომთხოვნელობით საკუთარი თავისა და სხვებისადმი, იყო კრისტალური, უღალატო პიროვნება.

გ. ზ. ხვადაგიანის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

ცაგერის ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

## მალაქია... ჩაქუჩის მეშვეობით

(დასასრული).

მაღაზიების ამწე მექანიზმებით ცუდი აღჭურვა. საერთოდ ყოველივე ის, რაც ჩვენს უმეტეს ვაჭრობის საწარმოებს აწუხებს.

ბევრი პრობლემის გადაწყვეტაში მოიჯარეებს ეხმარება სამეურნეოანგარიშიანი ბიურო, რომელიც მოსკოვის ქალაქვაჭრობასთანაა შექმნილი. იგი ეწევა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვას.

—ჩვენ ვეხმარებით მოიჯარეებს ხელშეკრულებების დადებაში სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საწარმოებთან,—ამბობს მისი უფროსი ლ. მიხაილოვი.—ფხიან ხელმძღვანელებს შეუძლიათ გააფართოონ თავიანთი ასორტიმენტი და სპეციალიზაცია. ჩვენმა მოიჯარეებმა ხილბოსტნეულის მოწოდების მიზნით პირდაპირი ხელშეკრულებები დადეს მოლდაველთან და უკრაინასთან. არის მაღაზიები, სადაც სხვა რეგიონებიდან შემოაქვთ რძის პროდუქტები. ფასები სახელშეკრულებოა, მაგრამ მოსკოვის საქალაქო საბჭომ ნება დართო მათ გაადიდონ ისინი არა უმეტეს 40 პროცენტისა დამატებითი დამუშავებისა და პროდუქციის ხარისხის მიხედვით დახარისხების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მოიჯარეებს ვაძლევთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მოწყობილობას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს აუქციონს. სამართლიანობის გულისათვის შევნიშნავ, რომ მასზე არ ყოფილა ზედმეტი აჟიოტაჟი და ზოგიერთმა მაღაზიამ ახალი მეპატრონე ვერ შეიძინა. რა არის ამისი მთავარი მიზეზი — რეკლამის უქონლობა, მეწარმეობის უუნარობა, ვაჭრობის ახალი ფორმისადმი ფრთხილი დამოკიდებულება — თავად განსაჯეთ.

მაგრამ ისინი, ვინც მაინც გადაწყვიტა საქმის წამოწყება, აღსავსენი არიან გეგმებით. ერთმა მათგანმა, რომელიც ადრევე გაეცნო მაღაზიას, გადაწყვიტა მოიჯარე გამხდარიყო. მას ხელს აძლევს დიდი სასაწყობო მოედანიც და გაცხოველებული გზაჯვარედინიც, სადაც უამრავი მყიდველი იქნება. პირველ რიგში მას სურს გადახედოს საშტატო განრიგს, კავშირი დაამყაროს რომელიმე მოსკოვს ახლო საბჭოთა მეურნეობასთან.

დაე იყოს ეგრე, გზა მშვიდობისა ვუსურვოთ!

მოსკოვი

ვ. ჯიბუტი

საკდესის კორ.

## ეს საინტერესოა

### იაპონიაში შემუშავებულია მთვარის ზედაპირის ათვისების პროგრამა

ტოკიო. იაპონიის კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ დაამთავრა მთვარის ზედაპირის პრაქტიკული ათვისების დიდმასშტაბიანი პროგრამის შემუშავება. მისი რეალიზაცია გათვალისწინებულია 2005 წლამდე პერიოდისათვის.

90-იანი წლების დასაწყისში — დედამიწის თანამგზავრის ათვისების პირველ სტადიაში დასახულია მთვარის ზედაპირის რელიეფის, ფიზიკური და ქიმიური თავისებურებების შესწავლა. გამოკვლევას შეუდგნენ აპარატურების მეშვეობით, რომელთაც მის გარკვეულ რაიონებში დადგამენ. მიღებული მონაცემების ანალიზი პასუხს გასცემს კითხვას არსებობს თუ არა წყლის წყარო. ამ სტადიის შემდეგ დაიწყება რობოტების რეგულარული ექსპედიციები.

მთვარეზე სადგურის აგების ძირითადი სამუშაოები უკვე მიმდინარე ათწლეულის მეორე ნახევარში დაიწყება. მშენებლების როლს შეასრულებენ ამ დროისათვის სპეციალურად შემუშავებული მრავალფუნქციანი რობოტები. სწორედ მათ უნდა მოამზადონ მთვარეზე აგებულ ბაზაში ადამიანების მუშაობის საჭირო პირობები. რობოტები შექმნიან წყლისა და ჟანგბადის ენერგიის მწარმოებელ ქარხნებს. მხოლოდ ამის შემდეგ მივა სადგურში იაპონელ სპეციალისტთა პირველი ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით. ეს მოვლენა, როგორც ფიქრობენ, შეიძლება მოხდეს 2000 წლისათვის.

მთვარის სადგურში ექსპედიციები „ვახტური მეთოდით“ იმუშავებენ და იქ რამდენიმე კვირას დაჰყოფენ ხოლმე. ვახტური ბრიგადები შეუდგებიან მინერალური რესურსების სამრეწველო მოპოვებას. დასაწყისში მის ტრანსპორტირებას მოახდენენ მთვარის ორბიტაზე არსებულ „საწყობებში“, საიდანაც შემდეგ სატვირთო ხომალდებით ჩვენს პლანეტაზე ჩამოიტანენ. ნედლეულის ნახევარფაბრიკატების გადასამუშავებელი კომბინატების მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი ნედლეულს მთლიანად მთვარეზე გადაამუშავებენ.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ალვის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ თამარ და ნოვე ახვლედიანებს დედისა და სიდედრის

**ელისაბედ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფო — პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ძაძუ ჩხეტიანს მეუღლის

**ზინა ზაქარიას ასული ჭაბუკიანი-გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ვლადიმერ და საშა ირემაძეებს მამიდის

**ვასასი ირემაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი და აღმზრდელი თანაუგრძნობენ გია გიორგობიანს ბებიის

**ნინა გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი. ლენინის ქ. №36. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36. მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.